სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

2024 წლის ანგარიში

შესავალი ..... 2 გვ.

ქართული ღვინის პოპულარიზაცია..... 3 გვ.

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტი..... 20 გვ.

რთველი.....21 გვ.

ხარისხის კონტროლი.....23 გვ.

ვენახების კადასტრის პროგრამა.....25 გვ.

ქართული ღვინის პოპულარიზაციის სამეცნიერო პროგრამა.....26 გვ.

სხვა ღონისძიებები.....29 გვ

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს ძირითადი საქმიანობა მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების ხელშეწყობაა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ღვინის ეროვნული სააგენტო რამდენიმე მიმართულებით მუშაობს:

- მევენახეობის განვითარება;
- ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა;
- რთველის პროცესის ორგანიზება;
- ქართული ვაზის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია;
- ქართული ღვინის ადგილწარმოშობების სისტემის განვითარება;
- ღვინის ლაბორატორიული კვლევა.

2024 წელი საქართველოს მეღვინეობის ინდუსტრიისთვის წარმატებული იყო: საქართველოდან ქართული ღვინის და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის რაოდენობამ და შემოსავლებმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია, დაბინავდა და გადამუშავდა რეკორდული რაოდენობის ყურძენი, ქართული ღვინო პროდუქცია წარდგენილი იყო მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო გამოფენასა და ფესტივალზე, ქვეყნის მასშტაბით აქტიურად გაგრძელდა ქართული ღვინის პოპულარიზაციასა და მის სამომხმარებლო კულტურის ზრდაზე ორიენტირებული აქტიობები, განხორციელდა

ღონისძიებები ქართული ღვინის ხარისხის მონიტორინგის მიმართულებით, გაგრძელდა ვენახების კადასტრის ეროვნული პროგრამა, გატარდა მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებისკენ მიმართული სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

ქართული ღვინის პოპულარიზაცია

ქართული ღვინის პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია ღვინის ბაზრების დივერსიფიკაცია და საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობაა, 2024 წელს 16 მილიონი ლარით განისაზღვრა, რაც 2 მილიონი ლარით აღემატებოდა 2023 წლის ანალოგიურ ბიუჯეტს.

ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო 24 საერთაშორისო გამოფენასა და 13 ფესტივალზე და 98 დეგუსტაცია-პრეზენტაციაზე, რომლებშიც სულ ჯამურად ქართული ღვინის 170 კომპანია მონაწილეობდა. ქართული ღვინის წარდგენები გაიმართა მსოფლიოს 21 ქვეყანაში: აშშ, პორტუგალია, ფინეთი, დანია, ავსტრია, ნორვეგია, იტალია, ნიდერლანდები, იაპონია, პოლონეთი, გერმანია, ჩინეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, უნგრეთი, კორეის რესპუბლიკა, შვეიცარია, თურქეთი, ბრაზილია და ლატვია.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

ქართული ღვინის პრიორიტეტული ბაზრებია აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, პოლონეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, ჩინეთი, სამხრეთ კორეა და იაპონია, სადაც ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, სხვადასხვა ღონისძიებას ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიები ახორციელებენ.

ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინოპროდუქციის მხარდაჭერის პოპულარიზაციის სახელწიფო პროგრამის ფარგლებში, ღვინის გამოფენები, კონკურსები, ტურები და ფესტივალები გაიმართა საქართველოს მასშტაბითაც, რაც მნიშვნელოვანია ღვინის ტურიზმის პოტენციალისა და ადგილობრივ მოსახლეობაში ღვინის მოხმარების კულტურის ზრდისთვის. პროგრამის ფარგლებში, თანადაფინანსების თანხამ 1 559 284 ლარი შეადგინა. ქართული ღვინო საქართველოში, წარმოდგენილი იყო 54 ღონისძიებაზე, მათ შორის, 17 გამოფენა/ფესტივალზე და 15 დეგუსტაცია-პრეზენტაციაზე, უცხოელი ღვინის პროფესიონალების მონაწილეობით გაიმართა 16 ღვინის ტური, ასევე გაიმართა კონკურსები და სიმპოზიუმი.

2024 წელს გამართული, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერილი ღონისძიებებიდან აღსანიშნავია:

ქართული ღვინის წარდგენა საფრანგეთში

11-12 თებერვალს, 12 ქართული კომპანია წარმოდგენილი იყო ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაზე „RAW Wine Paris“; ასევე 12 კომპანია მონაწილეობდა 12-14 თებერვალს ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „VinExpo Paris“.

Simplesmente Vinho

23-25 თებერვალს, პორტუგალიის ქალაქ პორტოში გამართულ გამოფენაში „Simplesmente Vinho“ ქვევრის ღვინის მწარმოებელი 11 მარანი მონაწილეობდა. გამოფენის ფარგლებში, ღვინის პროფესიონალებისა და სავაჭრო სფეროს წარმომადგენლებისთვის ქართული ღვინის დეგუსტაციები და გალა-ვახშამი გაიმართა; ჩატარდა კონფერენცია „Qvevri, Dolia E Talha“, რომელიც ქვევრში ღვინის დაყენების ტექნოლოგიას მიეძღვნა, მოეწყო სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის „ჩვენს ძარღვებში ღვინო სჩქეფს“ ჩვენება.

Foodex Japan 2024

5-8 მარტს, ქართული ღვინის მწარმოებელი 16 კომპანია იაპონიის დედაქალაქში ტოკიოში კვებისა და სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „Foodex Japan 2024“ მონაწილეობდა. გამოფენის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა, სამომავლო

თანამშრომლობის გაფართოების მიზნით, იაპონურ მარკეტინგულ და საკონსულტაციო კომპანიებთან შეხვედრები გამართეს.

ProWein Dusseldorf 2024

10-12 მარტს გერმანიის ქალაქ დუსელდორფში, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების გამოფენაში ProWein Dusseldorf ქართული ღვინის მწარმოებელი 28 კომპანია მონაწილეობდა. გამოფენის ფარგლებში ქართული ღვინის ოთხი პროფესიული პრეზენტაცია-დეგუსტაცია გაიმართა: პრესტიჟული გერმანული მედია ჰოლდინგის „Meininger" სტენდთან დეგუსტაციას „საქართველო - ღვინის სამშობლო" ღვინის მაგისტრები იანეკ შუმანი (Janek Schumann) და კონსტანტინ ბაუმი (Konstantin Baum), ხოლო სამ ღონისძიებას სახელწოდებით „ქართული ღვინის დღე", ცნობილი ინფლუესერი და სომელიე ტონი ასკიტისი (Toni Askitis) უძღვებოდნენ.

კონფერენცია გერმანიაში

12 მარტს, გერმანიის ქალაქ დუსელდორფში, ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიების ხელმძღვანელების მონაწილეობით კონფერენცია გაიმართა. კომპანიების წარმომადგენლებმა საქმიანობის პრეზენტაციები წარმოადგინეს. აღინიშნა, რომ განხორციელებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყო ბოლო წლებში ქართული ღვინის ცნობადობის და ექსპორტის ზრდა. შეხვედრას ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ორგანიზაციების: Colangelo & Partners (აშშ), Meiburg Wine Media (ჩინეთი), Swirl Wine Group (დიდი ბრიტანეთი), People PR (პოლონეთი), ff.k Public Relations (გერმანია) ხელმძღვანელები და ღვინის მაგისტრი ქესიდი დარტი (ჩინეთი) დაესწრნენ.

The 108th China Food & Drinks Fair

20-22 მარტს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ჩენგდუში ღვინისა და საკვების საერთაშორისო გამოფენა „The 108th China Food & Drinks Fair", ქართული ღვინის მწარმოებელი 21 კომპანიის მონაწილეობით გაიმართა. გამოფენის ფარგლებში, სპეციალურ სტენდზე, ღვინის მაგისტრმა ქესიდი დარტმა (ჩინეთი) სტუმრებს სხვადასხვა სახის ქართული ღვინო წარუდგინა.

TEXSOM-ის ღვინის საერთაშორისო კონკურსი

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners" ორგანიზებით, აშშ-ში, ტექსასის შტატის სომელიეთა კონფერენციის (TEXSOM) ღვინის საერთაშორისო კონკურსზე, სხვადასხვა ქართული კომპანიის 25-მა ღვინომ პლატინის, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა. TEXSOM-ის კონკურსზე წარდგენილი იყო 50 ქართული კომპანიის სხვადასხვა

სახეობის ის ქართული ღვინოები, რომლებიც უკვე იყიდება აშშ-ის ბაზარზე. გამარჯვებული 25 ღვინიდან ერთმა ღვინომ მოიპოვა პლატინის, ხუთმა ოქროს, ათმა ვერცხლის და ცხრამ ბრინჯაოს მედალი.

ქართული ღვინის წარდგენა გასტრონომიის ფესტივალებზე

მარტის თვეში, ქართული ღვინო საფრანგეთის ღვინისა და გასტრონომიის რამდენიმე პრესტიჟულ ფესტივალზე ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Le Pont Caucasien" ორგანიზებით იყო წარდგენილი. ფესტივალი „SAVIM Printemps Salon des Vignerons et de la Gastronomie" ქალაქ მარსელში, „LA FETE des VINS et de la GASTRONOMI" ქალაქ ტულონში, ხოლო „SALON DU VIN POUR PROFESSIONNELS" ქალაქ ნიცაში გაიმართა. კომპანიის „Le Pont Caucasien" ხელმძღვანელმა, საფრანგეთში მოღვაწე ენოლოგმა ილია კახოიძემ ფესტივალების სტუმრებს რვა ქართული ღვინის კომპანიის ის ღვინოები გააცნო, რომლებიც უკვე იყიდება საფრანგეთში.

გამოფენები „Vinitaly" და „Orange Wine Festival"

15 აპრილს, ქალაქ ვერონაში, გამოფენებში „Vinitaly" და „Orange Wine Festival" ქართული ღვინის მწარმოებელი ორი კომპანია და 25 საოჯახო მარანი მონაწილეობდა. ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციისა და პოპულარიზაციისთვის, აღნიშნულ გამოფენებში მონაწილეობა მნიშვნელოვანია, ვინაიდან თავს იყრიან ღვინის პროფესიონალები და სავაჭრო სფეროს წარმომადგენლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

გერმანელი ღვინის პროფესიონალების ტური

17-21 აპრილს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი გერმანული მარკეტინგული კომპანიის „ff.k Public Relations" ორგანიზებით, საქართველოს გერმანელი ღვინის პროფესიონალების 10-კაციანი ჯგუფი სტუმრობდა. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ სომელიეები, კომერციული სექტორის და მედიის წარმომადგენლები. 5-დღიანი ტურის ფარგლებში, სტუმრები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს ქართლსა და კახეთში ეწვივნენ, დააგემოვნეს სხვადასხვა სტილის ქართული ღვინო.

ქართული ღვინის დეგუსტაცია ამსტერდამში

21 აპრილს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Wijnimport Bleeker " ორგანიზებით, ნიდერლანდების სამეფოს დედაქალაქ ამსტერდამში ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი გაიმართა. ღონისძიებას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე დავით ტყემალაძე, საქართველოს

საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნიდერლანდების სამეფოში დავით სოლომონია და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მრჩეველი გიორგი თევზაძე დაესწრნენ.

„Real Wine Fair"

28-29 აპრილს, დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში ბუნებრივი ღვინის საერთაშორისო გამოფენა „Real Wine Fair" გაიმართა, რომელშიც ქართული ღვინის მწარმოებელი 7 კომპანია მონაწილეობდა. გამოფენა „Real Wine Fair" ყოველწლიურად იმართება და ბუნებრივი მეღვინეობის სფეროში წლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად არის მიჩნეული.

RAW Wine LA

28-29 აპრილს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ღვინის მწარმოებელმა შვიდმა საოჯახო მარანმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, გამოფენაზე ,,RAW Wine LA" ქართული ღვინოები წარადგინა. გამოფენაზე „RAW Wine" (The Artisan Wine Fair) მაღალი ხარისხის ბუნებრივი, ორგანული და ბიოდინამიკური ღვინოების მწარმოებლები იკრიბებიან.

„ZERO COMPROMISE"

9 მაისს, თბილისში ბუნებრივი ღვინის ყოველწლიური ფესტივალი „ZERO COMPROMISE" გაიმართა. ორდღიან ფესტივალში მონაწილეობდნენ ასოციაციის წევრი 100-მდე ადგილობრივი და ასევე სხვადასხვა ქვეყნის მარნები, მათ შორის, საფრანგეთიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, ავსტრიიდან, იაპონიიდან, ავსტრალიიდან და სლოვენიიდან.

ახალი ღვინის ფესტივალი

13 მაისს, ახალი ღვინის ფესტივალი გაიმართა და მისი მიზანი ქართული ღვინის პოპულარიზაცია, ახალი მარნების წარმოჩენა, ღვინის ტურიზმისა და ღვინის სამომხმარებლო კულტურის განვითარების ხელშეწყობაა. ფესტივალში 200-მდე დიდი, საშუალო და მცირე მწარმოებელი მონაწილეობდა; მათ სტუმრებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 2023 წლის მოსავლის ღვინოები დააგემოვნებინეს.

,,RAW Wine Tokyo"

12-13 მაისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ღვინის მწარმოებელი 11 საოჯახო მარანი იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გამართულ გამოფენაში ,,RAW Wine Tokyo" მონაწილეობდა. გამოფენის ,,RAW Wine Tokyo" სტუმრები ქართული ღვინოებს გაეცნენ, ასევე მიიღეს ინფორმაცია ქართული ღვინის წარმოების უძველეს ტრადიციებსა და კულტურის შესახებ.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

კანადელი ღვინის პროფესიონალების ტური

28 აპრილიდან 5 მაისის ჩათვლით, ქართული ღვინის ბაზრების დივერსიფიკაციის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს და კანადაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, კანადიდან ღვინის პროფესიონალების 17-კაციანი ჯგუფი საქართველოს სტუმრობდა. ვიზიტის ფარგლებში, სტუმრები კახეთში ღვინის მწარმოებელ კომპანიებს და საოჯახო მარნებს ესტუმრნენ, ასევე, გაეცნენ ქვევრის დამზადების ტექნოლოგიას. თბილისში სპეციალურად მათთვის 20-მდე სხვადასხვა კომპანიის ღვინოების დეგუსტაცია გაიმართა.

„WinetoAsia“

9-11 მაისი, ჩინეთის ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, გუანდონის პროვინციის ქალაქ შენჭენში გამართულ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მასშტაბურ გამოფენაში „WinetoAsia“ მონაწილეობდნენ. ქართული ღვინის წარდგენას ორგანიზება ჩინეთში მოღვაწე ღვინის მაგისტრმა ქესიდი დარტმა (Cassidy Dart) გაუწია. ამასთან ერთად, ქესიდი დარტმა გამოფენის ფარგლებში ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია გამართა.

გასტრონომიის ფესტივალი „Les Festives Gourmandes“

18-20 მაისს, ქართული ღვინო საფრანგეთის ღვინისა და გასტრონომიის პრესტიჟულ ფესტივალზე ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Le Pont Caucasien“ ორგანიზებით წარდგა. ფესტივალზე „Les Festives Gourmandes“, რომელიც ქალაქ შალონ-სიურ-სონში გაიმართა, კომპანიის „Le Pont Caucasien“ ხელმძღვანელმა, საფრანგეთში მოღვაწე ენოლოგმა ილია კახოიძემ სტუმრებს 10 ქართველი მწარმოებლის ღვინოები გააცნო.

ამერიკელი ღვინის პროფესიონალების ტური

7-15 მაისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, საქართველოში ამერიკელი ღვინის პროფესიონალების ტური ჩატარდა. ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ სომელიეები და ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული კომპანიის „Colangelo&Partners” წარმომადგენელი. ტურის ფარგლებში, ღვინის პროფესიონალები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს კახეთსა და ქართლში ესტუმრნენ.

London Wine Fair

20-22 მაისს, ქართული ღვინის მწარმოებელი 13 კომპანია ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაში London Wine Fair 2024 მონაწილეობდა. London Wine Fair წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატფორმას ქართველი მწარმოებლებისთვის ახალი სავაჭრო პარტნიორების მოძიების, პროდუქციის პოპულარიზაციისა და ექსპორტის გაზრდის კუთხით.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო ქალაქ მცხეთაში წარმოდგენილი იყო კონცეფციით - „საქართველო ღვინის სამშობლო“. ღონისძიებაში 10-მდე ადგილობრივი ღვინის მწარმოებელი მონაწილეობდა. წარმოდგენილი იყო ქართული ღვინისა და ვაზის კულტურის ისტორიასა და ტრადიციებთან დაკავშირებული ვიზუალური და საინფორმაციო მასალა, მათ შორის, ქართლის რეგიონის ღვინისა და ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება;

Georgian Natural Wine Day

1 ივნისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ბელგიის დედაქალაქ ბრუსელში ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია გაიმართა - Georgian Natural Wine Day (ქართული ბუნებრივი ღვინის დღე) გაიმართა, რომელზეც სხვადასხვა სახეობის 10 ქართული ღვინო იყო წარდგენილი. დეგუსტაციას 1000-მდე სტუმარი, მათ შორის, ჟურნალისტები, ბლოგერები, კომერციული სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ. ღონისძიება ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „FLOW SRL“ ორგანიზებით გაიმართა.

ბოლნისის დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის ფესტივალი

3 ივნისს, ბოლნისის დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის ფესტივალი გაიმართა, რომლის ერთ-ერთი მხარდამჭერი ღვინის ეროვნული სააგენტოა. მასში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან 50-მდე ღვინის მწარმოებელმა მიიღო მონაწილეობა. აღნიშნული ფესტივალი საქართველოში ერთადერთია, რომელშიც მხოლოდ დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების მწარმოებლები მონაწილეობენ.

WinExpo Georgia

7-9 ივნისს, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-16 საერთაშორისო გამოფენა WinExpo Georgia გაიმართა და მასში მსოფლიოს 8 ქვეყნის 200-მდე კომპანია მონაწილეობდა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი დიდი

და საშუალო კომპანიები, მცირე მარნები, ასევე ღვინის ტექნოლოგიები, შესაფუთი მასალები, მევენახეობა-მეღვინეობის მანქანა-დანადგარები, სანერგეები, მინა, აქსესუარები და სერვისები. გამოფენის ფარგლებში, ღვინის მე-14 საერთაშორისო კონკურსი Georgia International wine Award გაიმართა. კონკურსზე ოქროს მედალი 21-მა ღვინომ დაიმსახურა, მათგან ექვსმა გამორჩეულმა ღვინომ უმაღლესი ჯილდო, „ტროფი“ მიიღო. ვერცხლის მედლით 77 და ბრინჯაოს მედლით 96 ღვინო დაჯილდოვდა.

„საფერიკა“

7-8 ივნისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი ორგანიზაციის „საფერიკა“ ორგანიზებით, ნიუ-იორკის შტატის ფინგერ ლეიკსის რეგიონში საფერავის ორდღიანი ფესტივალი „საფერიკა“ გაიმართა. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა კომპანიის მიერ წარმოებული საფერავის ჯიშის ღვინოები, როგორც საქართველოდან, ისე ფინგერ ლეიკსის რეგიონიდან. აღსანიშნავია, რომ ნიუ-იორკის შტატში, ფინგერ ლეიკსის რეგიონში, უკვე 60 წელია, ადგილობრივ ღვინის მწარმოებლებს საფერავისა და რქაწითელის ჯიშების ყურძენი აქვთ გაშენებული და მსოფლიოში ცნობილი ქართული ვაზის ჯიშის ღვინოებს აწარმოებენ.

იაპონელი ღვინის პროფესიონალების ტური

8-12 ივნისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, საქართველოს იაპონელი ღვინის მაგისტრი კენიჩი ოჰაში და იაპონელი ღვინის პროფესიონალების ჯგუფი სტუმრობდა. ტურის ფარგლებში, სტუმრები ღვინის კომპანიებსა და მარნებს კახეთში ეწვივნენ, სადაც სხვადასხვა დასახელების ქართული ღვინოები დააგემოვნეს და ქვევრის დამზადების ტექნოლოგიას გაეცნენ. 10-კაციანი ჯგუფის შემადგენლობაში ღვინის იმპორტიორები და მედიის წარმომადგენლები შედიოდნენ.

ქართული ღვინის წარდგენა იაპონიაში

15-16 ივნისს, იაპონიაში საქართველოს დღეების ფარგლებში, ქართული ღვინის მასშტაბური ფესტივალი ტოკიოს იოიოგის ცენტრალურ პარკში გაიმართა. იაპონიის ბაზარზე ქართული ღვინის იმპორტიორებმა ქართული ღვინის 9 კომპანიის 12-ზე მეტი დასახელების ქართული ღვინო წარადგინეს. ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაციას იაპონელი სომელიე რიუნოსუკე იოშიჰარა (Ryunosuke Yoshihara) უძღვებოდა.

„Georgian Wine Grand Tasting“

20 ივნისს, პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Peopl.Pr” ორგანიზებით და პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის დეგუსტაცია „Georgian Wine Grand Tasting“ გაიმართა.

დეგუსტაციაზე 20-ზე მეტი ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიის 100-მდე ღვინო იყო წარმოდგენილი. ღონისძიებას 200-ზე მეტი სტუმარი, მათ შორის, ჟურნალისტები, ბლოგერები, კომერციული სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ.

„Vinexpo America“

24-25 ივნისს, აშშ-ში, გამოფენაზე „Vinexpo America“ ქართული ღვინო 20-მა კომპანიამ წარადგინა. მსგავსი მასშტაბის საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობა ღვინის ბაზრების დივერსიფიცირებისა და ექსპორტის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. „Vinexpo America“-ში მონაწილეობით, ქართულ კომპანიებს შესაძლებლობა ეძლევათ, მსოფლიოს ღვინის ბაზარზე არსებულ ახალ ტენდენციებს და გამოწვევებს გაეცნონ, მოიძიონ სავაჭრო პარტნიორები ამერიკის შეერთებული შტატებში, რომელიც ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს და სადაც განსაკუთრებით მაღალია ღვინის ხარისხის სტანდარტები.

„The 8th Eurasia Expo“

26-30 ივნისს, ჩინეთის ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 12 კომპანიის პროდუქცია სინძიანის პროვინციის ქალაქ ურუმჩიში, გამოფენაზე „The 8th Eurasia Expo“ იყო წარმოდგენილი. გამოფენას ყოველწლიურად 2 მილიონი ვიზიტორი სტუმრობს, რაც ქართული ღვინის მწარმოებლებს აძლევს საუკეთესო შესაძლებლობას, აზიის ღვინის ბაზარზე პოტენციურ პარტნიორებთან დაამყარონ საქმიანი ურთიერთობები.

ღვინის პროფესიონალების ტური ჩინეთიდან

24-29 ივნისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „Meiburg Wine Media'' ორგანიზებით, საქართველოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან ღვინის პროფესიონალების 14 კაციანი ჯგუფი სტუმრობდა. ტურის ფარგლებში, ჯგუფის წევრებმა, რომლის შემადგენლობაში სომელიეები და იმპორტიორები შედიოდნენ, ქართლსა და კახეთში ღვინის საწარმოები დაათვალიერეს, დააგემოვნეს სხვადასხვა სტილის ქართული ღვინო. თბილისში სტუმრებისთვის სპეციალური დეგუსტაცია (Walkaround Tasting) გაიმართა, სადაც ქართული ღვინის მწარმოებელი 15 კომპანიის ღვინოების იყო წარმოდგენილი.

„Seoul International Wine and Spirits Expo 2024“

4-6 ივლისს, ქართული ღვინის მწარმოებელი 10 კომპანია ქალაქ სეულში, ღვინის და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „Seoul International Wine and Spirits Expo 2024“ მონაწილეობდა. ამასთან ერთად, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და კორეის საერთაშორისო სომელიეთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტისა და კორეის ღვინის მწერალთა კლუბის დამფუძნებლის ჩან ჯუნ პარკის (Chan Jun Park) ორგანიზებით, ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია გაიმართა, რომელსაც 150-ზე მეტი სტუმარი დაესწრო.

ქართული ღვინის ფესტივალი კრაკოვში

7-8 ივლისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და პოლონეთის რესპუბლიკაში სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „ო-ლილე“ ორგანიზებით, კრაკოვის ცნობილი ისტორიული სასახლის (Dwór w Tomaszowicach) ტერიტორიაზე ქართული ღვინის ფესტივალი გაიმართა. ფესტივალში 20-მდე ქართული ღვინის კომპანია, როგორც დიდი, ისე საშუალო და მცირე მწარმოებლებელი მონაწილეობდა. ღონისძიებას ადგილობრივი იმპორტიორები, HoReCa სექტორის წარმომადგენლები, ღვინის მომხმარებლები, ჟურნალისტები და ბლოგერები, ჯამში 1000-მდე სტუმარი დაესწრო.

ქართული ღვინის წარდგენა ბერლინში

9 ივლისს, გერმანიის დედაქალაქ ბერლინში, ღვინის ინსტიტუტში „Deutsche Wein und Sommelierschule“ ქართული ღვინის პრეზენტაცია-სემინარი ჩატარდა. ღონისძიებას, რომელსაც გერმანიის სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტი ივონე ჰეისტერმანი (Yvonne Heistermann) უძღვებოდა, მარკეტინგის საერთაშორისო ექსპერტები, სტუდენტები და ღვინის ენთუზიასტები დაესწრნენ.

ტექსასის სომელიეთა კონფერენცია TEXSOM

25-27 აგვისტოს, TEXSOM-ის სომელიეთა კონფერენციის ფარგლებში, აშშ-ში, ტექსასის შტატის ქალაქ ირვინგში, ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია გაიმართა. დეგუსტაციაზე სხვადასხვა დასახელების 70-მდე ქართული ღვინო იყო წარმოდგენილი. ღონისძიებას ღვინის ინდუსტრიის ექსპერტები და პროფესიონალები ესწრებოდნენ.

გერმანელი ღვინის პროფესიონალების ვიზიტი

3-8 სექტემბერს, საქართველოს გერმანელი ღვინის ჟურნალისტები, ბლოგერები და სომელიეები ეწვივნენ. სტუმრები ქართლსა და კახეთში ქართული ღვინის მწარმოებელ 10-ზე მეტ კომპანიასა და მარანს გაეცნენ, დააგემოვნეს სხვადასხვა სტილის ქართული ღვინო. ჯგუფის შემადგენლობაში ცნობილი ინფლუესერი და სომელიე ტონი ასკიტისი (Toni Askitis)

იყო, რომელიც საკუთარ პოპულარულ არხზე #Asktoni ღვინის სფეროს სიახლეებს და ტენდენციებს გადმოსცემს.

ქართული ღვინის კამპანია აშშ-ში

ამერიკის შეერთებული შტატები ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს, სადაც 2013 წლის შემდეგ, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით განხორციელებულმა ღონისძიებებმა, ხელი შეუწყო აშშ-ში ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდას.

სექტემბერ-ოქტომბერში აშშ-ს ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის აქტიური კამპანია მიმდინარეობდა:

- 16-18 სექტემბერს, საქართველოს პრესტიჟული ამერიკული ღვინის გამოცემის „Wine Enthusiast“ ერთ-ერთი რედაქტორი და სადეგუსტაციო კომისიის წარმომადგენელი ემილი სალადინო (Emily Saladino) ეწვია. ვიზიტის ფარგლებში მან ჩაატარა ქართული ღვინის ბრმა დეგუსტაცია და Wine Enthusiast-ის 100 ქულიანი შეფასების სისტემის მიხედვით შეაფასა წარდგენილი ღვინოები, ასევე ეწვია კახეთის რეგიონს. დეგუსტაციაზე წარდგენილი ღვინოების შეფასებები გამოქვეყნდება Wine Enthusiast-ის გვერდზე.
- 7-13 სექტემბერს, საქართველოში ამერიკელი ღვინის პროფესიონალების ტური ჩატარდა. 12-კაციანი ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ ღვინით ვაჭრობის სფეროს და „Colangelo&Partners”-ის წარმომადგენლები. ტურის ფარგლებში, ღვინის პროფესიონალები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს კახეთსა და ქართლში ესტუმრნენ, სადაც ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიას გაეცნენ, ადგილზე დააგემოვნეს როგორც კლასიკური, ასევე ტრადიციული მეთოდით დამზადებული ქართული ღვინოები.
- 15-20 სექტემბერს, საქართველოში ამერიკელი ღვინის ჟურნალისტების პრესტური ჩატარდა, რომლის ფარგლებში, ღვინის პროფესიონალები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს კახეთსა და ქართლში ესტუმრნენ, სადაც ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიას გაეცნენ, ადგილზე დააგემოვნეს როგორც კლასიკური, ასევე ტრადიციული მეთოდით დამზადებული ქართული ღვინოები.
- 23 სექტემბერიდან, 2 კვირის განმავლობაში, ქალაქ ნიუ-იორკში, მანჰეტენზე, აუთდორ კამპანიის ფარგლებში, ე.წ. 25 ლაითბოქსზე განთავსდა ქართული ღვინის სარეკლამო ბანერები.
- 26 სექტემბერს, ქალაქ ნიუ-იორკში ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა „გრანდ თეისტინგი“ ღვინის პროფესიონალების, მედიის და კომერციული სექტორის წარმომაგენლებისთვის გაიმართა. ქართული ღვინის მასშტაბურ წარდგენას 400-მდე ღვინის პროფესიონალი, მედიის და კომერციული სექტორის წარმომადგენელი დაესწრო.
- ოქტომბერ-ნოემბერში, ქართული ღვინის სარეკლამო კამპანიას ადგილი პრესტიჟულ გამოცემა „New York Times“ დაეთმო. New York Times-ის ოფიციალურ გვერდზე განთავსდა ე.წ. ბლოკბანერი და ნებისმიერ მომხმარებელს, რომელიც სტუმრობდა საიტს სარეკლამო ველში გამოუჩნდა ქართული ღვინის სარეკლამო ბანერების

სლაიდშოუ. აღნიშნული გამოცემის საშუალო ნახვა კვირის განმავლობაში 100 მლნ მომხმარებელს აჭარბებს.

➢

ქართული ღვინის წარდგენა კორეის რესპუბლიკაში

24 სექტემბერს ქალაქ სეულში ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა გაიმართა. ღონისძიება მოიცავდა პროფესიულ მასტერკლასს და პრეზენტაციას 300 მოწვეული სტუმრისთვის, რომელთა შორის მეღვინეობის დარგის ექსპერტები, სომელიეები, ბაიერები, მედიის წარმომადგენლები და ინფლუენსერები იყვნენ. დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო 15-მდე ქართული ღვინის მწარმოებლის 40 სხვადასხვა დასახელების ღვინო. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ქართული ღვინისა და კორეული სამზარეულოს შეხამების მასტერკლასი.

კონკურსის „საქართველოს საუკეთესო სომელიე"

9 ოქტომბერს, კონკურსი საქართველოს სომელიეთა ასოციაციის ორგანიზებით და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით გაიმართა. კონკურსში 13 სომელიე მონაწილეობდა, რომელთაგან სამი ფინალურ ეტაპზე გადავიდა. საკონკურსო დავალებების შედეგების შეჯამების შედეგად, ჟიურის გადაწყვეტილებით, 2024 წლის საქართველოს საუკეთესო სომელიე საბა ქიტიაშვილი გახდა. ღონისძიება საქართველოში სომელიეთა საუკეთესო უნარებისა და პროფესიონალიზმის წარმოჩენას ემსახურება. ის მიზნად ისახავს სომელიეების პროფესიული ზრდისა და განვითარების მხარდაჭერას, რაც ქართული ღვინის კულტურის პოზიციების გაძლიერებას უწყობს ხელს მსოფლიო ღვინის სცენაზე.

გურჯაანის ღვინის ფესტივალი

12 ოქტომბერს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, გურჯაანში რიგით მეექვსე ღვინის ფესტივალი გაიმართა. ფესტივალში 400-ზე მეტი ღვინის კომპანია და მარანი მონაწილეობდა, რომელთაც სხვადასხვა დასახელების ღვინო, ჭაჭა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელი წარმოადგინეს. ფესტივალი, რომელიც ქალაქ გურჯაანის ახტალის პარკში გაიმართა, წელსაც ხალხმრავლობით გამოირჩეოდა. გურჯაანის ღვინს ფესტივალი, 2022 წლიდან, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, საერთაშორისო ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კონკურსის (IWSC) ოფიციალური პარტნიორი გახდა.

პოლონელი ღვინის პროფესიონალების ტური

7-10 ოქტომბერს, პოლონეთის ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს და სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის "People PR" ორგანიზებით, საქართველოში პოლონელი ღვინის პროფესიონალების

ტური ჩატარდა. ტურის ფარგლებში სტუმრებმა კახეთის რეგიონში ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები დაათვალიერეს, თბილისში ქართული ღვინის დეგუსტაცია, ე.წ. „Walkaround Tasting“ გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 20 კომპანიის სხვადასხვა ღვინო.

ბრიტანელი ღვინის პროფესიონალების ტური

7-11 ოქტომბერს, ღვინის პროფესიონალების 13-კაციანი ჯგუფი საქართველოში იმყოფებოდა. ბრიტანელი იმპორტიორების და ჟურნალისტებისგან შემდგარი ჯგუფის წევრები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს ქართლსა და კახეთში ეწვივნენ, სადაც სხვადასხვა სტილის ქართული ღვინო დააგემოვნეს. თბილისში გამართულ სპეციალურ დეგუსტაციაზე „Walk-around Tasting“ ბრიტანელი სტუმრები 10 კომპანიის სხვადასხვა დასახელების ღვინოს გაეცნენ.

პოლონეთში საფერავის წარდგენის მასშტაბური ღონისძიება გაიმართა

15 ოქტომბერს, პოლონეთის სომელიეთა ასოციაციის გენერალური ასამბლეის ფარგლებში, ქართული ღვინო საფერავის დეგუსტაცია-სემინარი „Saperavi Experience: Secrets of Georgia's Red Treasure“ გაიმართა. 100-ზე მეტი ადგილობრივი სომელიე დაესწრო პოლონეთის დაბა პშჭევში (Pszczew) გამართულ ღონისძიებას, რომელსაც სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „ო-ლილე“ ხელმძღვანელი ქეთევან ფრანგულაიშვილი უძღვებოდა.

„ახალი მცირე მარნები დიდ ასპარეზზე“

19 ოქტომბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და საქართველოს ღვინის კლუბის ორგანიზებით, რიგით მეექვსე ღვინის ფესტივალი „ახალი მცირე მარნები დიდ ასპარეზზე“ თბილისში, მთაწმინდის პარკში გაიმართა, სადაც 50 ღვინის მწარმოებლის პროდუქცია წარმოდგენილი საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ყველა რეგიონიდან იყო. ფესტივალისადმი დიდ ინტერესზე როგორც მონაწილე მარნების, ისე სტუმრების ყოველწლიურად მზარდი რაოდენობა მიუთითებს.

ქართული ღვინის წარდგენა ნიდერლანდებში

18 ოქტომბერს, ნიდერლანდების ქალაქ მაასტრიხტში ქართული ღვინის დეგუსტაცია ,, Folie culinaire“ გაიმართა. სამდღიან ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 5 კომპანიის 50 დასახელების ღვინო და მას ადგილობრივი ღვინის ექსპერტები, სომელიეები, კომერციული, HoReCa და მედია სექტორის წარმომადგენლები, ჯამში 1000-ამდე ადამიანი დაესწრო.

„Theoule Arts and Vin”

20 ოქტომბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Le Pont Caucasien“ ორგანიზებით, საფრანგეთის ქალაქ ტოულ სურ მერში (Théoule-sur-mer) გამართულ ღვინისა და გასტრონომიის ფესტივალზე „Theoule Arts and Vin” ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა. ფესტივალის სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ, გასცნობოდნენ 12 ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიისა და მცირე მარნის 15 სახეობის ღვინოს.

ქართული ღვინის დეგუსტაცია ოსაკასი

22 ოქტომბერს, ქალაქ ოსაკაში, ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა, რომელსაც ღვინის იმპორტიორები, ბაიერები, სავაჭრო ქსელებისა და მედიის წარმომადგენლები, ჯამში 120-მდე სტუმარი დაესწრო. საქართველოს მეღვინეობის კულტურას, ისტორიისა, ვაზის ჯიშებისა და ღვინის თანამედროვე ინდუსტრიის შესახებ პრეზენტაცია Red Bridge-ის დირექტორმა, ღვინის ცნობილმა მაგისტრმა, კენიჩი ოჰაშიმ წარმოადგინა. ამასთან ერთად, ცნობილმა იაპონელმა სომელიე მოტოჰირო ოკოშიმ სტუმრებს 8 ქართული ღვინო წარუდგინა და ქართული ღვინის იაპონურ სამზარეულოსთან შეხამების გამოცდილება გაუზიარა.

„Salon Savim TERRAVINI”

25 ოქტომბერს, საფრანგეთის ქალაქ ნიცაში გამართულ ღვინისა და გასტრონომიის ფესტივალზე „Salon Savim TERRAVINI” ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა. ფესტივალის სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ, გასცნობოდნენ 8 ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიისა და მცირე მარნის ღვინოებს. “Salon Savim TERRAVINI” ითვლება საფრანგეთის ღვინისა და გასტრონომიის ერთ-ერთ წამყვან ღონისძიებად, რომელსაც ყოველწლიურად ათი ათასობით ღვინის პროფესიონალი თუ მომხმარებელი სტუმრობს.

"Daejeon International Wine Festival"

1-3 ნოემბერს, ქალაქ დეჯონში საერთაშორისო ფესტივალზე "Daejeon International Wine Festival" ქართული ღვინის 8 მწარმოებლის, როგორც დიდი კომპანიების, ასევე მცირე მარნების ღვინო იყო წარმოდგენილი. ქართული ღვინის მსგავს მასშტაბურ ღონისძიებებზე წარდგენა ემსახურება საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციას.

„EnoExpo 2024”

8-10 ნოემბერს, ქალაქ კრაკოვში ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „EnoExpo 2024” ქართული ღვინის ხუთი მწარმოებელი მონაწილეობს. „EnoExpo“, რომელიც უკვე 21-დ იმართება, ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ და პრესტიჟულ გამოფენად ითვლება აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

,RAW Wine NY

10-11 ნოემბერს, ქვევრის ღვინის მწარმოებელი რვა კომპანია ქალაქ ნიუ-იორკში ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაში ,,RAW Wine 2024" (The Artisan Wine Fair) მონაწილეობდა. გამოფენა ,,RAW Wine", რომლის ორგანიზატორი ცნობილი ღვინის მაგისტრი საფრანგეთიდან იზაბელ ლეგერონია, თავს უყრის მაღალი ხარისხის ბუნებრივი და ბიოდინამიური ღვინოების მწარმოებლებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

ქართული ღვინის წარდგენა ფინეთში

7 ნოემბერს, ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში გამართულ ქართული ღვინის წარდგენის და დეგუსტაციის ღონისძიებას 40-ზე მეტი სომელიე, ღვინის იმპორტიორი, მედიის და ჰორეკა სექტორის წარმომადგენელი დაესწრო. ქართული ღვინის წარმოების ისტორია, ჯიშური მრავალფეროვნება, ქვევრის და ქვევრის ღვინის ტექნოლოგია ღონისძიების მონაწილეებს ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა, ღვინის ექსპერტმა, ირაკლი ჩოლობარგიამ გააცნო. საუბარი შეეხო ქართული ღვინის წარმოების დღევანდელ მასშტაბებს, სახეობებს, მსოფლიო ბაზრებზე მოთხოვნებს და ექსპორტის ტენდენციებს.

Merano Wine Festival

8-10 ნოემბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს და ასოციაციის „ქართული ღვინო" მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 20 კომპანია იტალიაში მერანოს ღვინის ფესტივალში მონაწილეობდა. ფესტივალის ფარგლებში ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაციაც გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა დასახლების ღვინოები, მათ შორის, ქვევრის ღვინის და საფერავის საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებული ღვინოები. ღონისძიებას ღვინის პროფესიონალები და ჟურნალისტები დაესწრნენ. დეგუსტაციას იტალიელი სომელიე გუიდო ინვერნიცი უძღვებოდა.

ProWine Shanghai

12-14 ნოემბერს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ შანხაიში, ღვინის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და მნიშვნელოვანი გამოფენაში ProWine Shanghai, ქართული ღვინის მწარმოებელი 24 კომპანია მონაწილეობდა. ამასთან ერთად, ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო გამოფენის ფარგლებში გამართულ „ქარვისფერი ღვინის სიმპოზიუმზე", რომელსაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წამყვანი ღვინის ექსპერტები, მედიის წარმომადგენლები, სომელიეები, იმპორტიორები და დისტრიბუტორები დაესწრნენ. სიმპოზიუმზე წარმოდგენილი იყო მსოფლიოს 13 ქვეყანა, მათ შორის, იტალია, საფრანგეთი, ავსტრალია, ესპანეთი, ავსტრია და სხვა.

Expovina

31 ოქტომბრიდან 14 ნოემბრის ჩათვლით მიმდინარე Expovina-ს საგამოფენო სივრცე 9 გემზე მოეწყო და ათასობით სტუმარს უმასპინძლა. მეღვინეობის პრაქტიკულად ყველა ქვეყნიდან წარმოდგენილ ღვინოებს შორის იყო ქართული ღვინოც, რომელიც გამოფენაზე „ქართული ღვინის სახლმა“ (GeoHauss) წარადგინა. გამოფენის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე დავით ტყემალაძე გამოფენის Expovina აღმასრულებელ დირექტორს, პასკალ შლიტლერს შეხვდა. მხარეებმა 2025 წელს, Expovina-ს რიგით 70-ე გამოფენაზე ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენის შესაძლებლობის საკითხი განიხილეს.

„HORECA EXPO“

17-20 ნოემბერს, ბელგიის სამეფოს ქალაქ გენტში, გამოფენაზე „HORECA EXPO“, ქართული ღვინის წარდგენა ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „FLOW SRL“ ორგანიზებით გაიმართა.„HORECA EXPO“ სასტუმრო, რესტორნების და კაფეების ინდუსტრის უდიდესი გამოფენაა. გამოფენა ასევე მოიცავს ვორქშოფებს, კულინარიის კონკურსებს და სემინარებს. ქართული ღვინო წარდგენილი იყო გამოფენის “Chef’s Place” ნაწილში, სადაც თავს იყრიან ტოპ-შეფები, სომელიეები, ბლოგერები და ჟურნალისტები. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი სამი კომპანიის 10-მდე ღვინო.

„Orange Wine Festival“

19 ნოემბერს, ქართული ღვინის მწარმოებელი 30-მდე კომპანია ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გამართულ ქარვისფერი ღვინოების ფესტივალში „Orange Wine Festival“ მონაწილეობდა. „Orange Wine Festival“ წლის განმავლობაში რამდენჯერმე იმართება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ფესტივალში ქართული ღვინის მარნების მონაწილეობა შესაძლებლობას იძლევა, რომ ქართული ღვინო ფართო მასშტაბით წარმოჩინდეს როგორც მომხმარებლების, ისე ღვინის საერთაშორისო ექსპერტებისა და ღვინით ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლების წინაშე.

RAW Wine Berlin

1 დეკემბერს, ბერლინში, ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაში „RAW Wine Berlin 2024”, ქვევრის ღვინის მწარმოებელი 12 მარანი მონაწილეობდა. „RAW Wine” ერთ-ერთი გამორჩეული საერთაშორისო გამოფენაა, სადაც მაღალი ხარისხის ბუნებრივი, ორგანული და ბიოდინამიური ღვინოების მწარმოებლები იკრიბებიან. გამოფენის ორგანიზატორია ცნობილი ღვინის მაგისტრი საფრანგეთიდან იზაბელ ლეგერონი.

„ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა

ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, 2021 წლის სექტემბერში საქართველოს მთავრობამ „ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა“ დაამტკიცა.

პროგრამის მიზანია საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის, კონკურენტუნარიანობისა და ცნობადობის გაზრდა, სტრატეგიული და პრიორიტეტული საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება.

პროგრამას ახორციელებს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინაციით.

ღვინის ეროვნული სააგენტო, მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში, მარკეტინგული ხარჯების თანადაფინანსებას მხოლოდ იმ კომპანიებისთვის განახორციელებს, რომლებიც ექსპორტს პრიორიტეტულ ბაზრებსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ახორციელებენ, გარდა დსთ-ს და სუამ-ის ქვეყნებისა.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

- გასულ წელს, პროგრამის ფარგლებში მარკეტინგული ხარჯების თანადაფინანსება მოხდა 416,707 ლიტრ ექსპორტირებულ ღვინოზე, პროგრამით ისარგებლა ხუთმა კომპანიამ. თანადაფინანსების მოცულობამ შეადგინა 243,281.28 ლარი.

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების 2024 წლის ექსპორტი

2024 წელს საქართველოდან მსოფლიოს 72 ქვეყანაში ექსპორტირებულია 95 მლნ-მდე ლიტრი, 276,1 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რაოდენობრივმა 6%, ხოლო შემოსავლების ზრდამ 7% შეადგინა.

ექსპორტის ზრდა აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: პოლონეთი - 12% (6,7 მლნ ლიტრი), გერმანია - 30% (1,28 მლნ ლიტრი), აშშ - 32% (1,2 მლნ ლიტრი), ლიეტუვა - 11% (707 ათასი ლიტრი), დიდი ბრიტანეთი - 42% (425,6 ათასი ლიტრი), თურქეთი - 62% (538 ათასი ლიტრი), აზერბაიჯანი - 34% (237 ათასი ლიტრი), კანადა - 16% (198 ათასი ლიტრი), ისრაელი - 2% (314 ათასი ლიტრი), არაბეთის გაერთიანებული ემირატები - 80% (70 ათასი ლიტრი), სამხრეთ კორეა - 26% (72,5 ათასი ლიტრი) და ა.შ.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

ამასთან ერთად, მსოფლიოს 56 ქვეყანაში ექსპორტირებულია 48 მლნ ლიტრი სპირტიანი სასმელები, ზრდამ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან 53% შეადგინა. სპირტიანი სასმელების ექსპორტიდან შემოსავლების სახით მიღებულია 289 მლნ-მდე აშშ დოლარი (ზრდა 47%).

ჯამურად, ღვინისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტიდან, შემოსავლების სახით მიღებულია 565 მლნ აშშ დოლარი, რაც არის დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი.

რთველი 2024

2024 წელს, რთველის ფარგლებში გადამუშავდა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო რაოდენობის - 320 ათას ტონამდე ყურძენი, რაც დაახლოებით 45%-ით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

2024 წლის მოსავალი, რაოდენობასთან ერთად, გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით. ღვინის კერძო სექტორი ორიენტირებული იყო ხარისხიანი ყურძნის შეძენაზე და შესაბამისად, აღნიშნული წლის მოსავლის ღვინოებიც იქნება გამორჩეული, მრავალფეროვანი და ხარისხიანი.

ყურძენი ღვინის საწარმოებს 21 300-მდე მევენახე ფერმერმა ჩააბარა.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

მევენახეობის მთავარ რეგიონებში, კახეთსა და რაჭა-ლეჩხუმში გადამუშავდა 291 ათას ტონამდე ყურძენი. ყურძნის რეალიზაციით მიღებულმა შემოსავალმა 390 მილიონ ლარს მიაღწია.

კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მოსავლის დაბინავება როგორც კახეთში, ისე რაჭა-ლეჩხუმში ნაადრევად დაიწყო: კახეთში 13 აგვისტოდან, რაჭაში 23 სექტემბრიდან და ლეჩხუმში 4 ოქტომბრიდან. მიუხედავად იმისა, რომ კახეთში და რაჭაში რთველის პიკური პერიოდი დროში ერთმანეთს ემთხვეოდა, საორგანიზაციო შტაბის მიერ უზრუნველყოფილი იყო მოსავლის შეუფერხებელი დაბინავება. ყურძნის გადამუშავების პროცესში, ჯამში, ჩართული იყო 600 ღვინის მწარმოებელი დიდი კომპანია, საშუალო და მცირე მარანი.

ძირითადი ინდუსტრიული ჯიშებიდან, გადამუშავებულია:

რქაწითელი - 136 ათასი ტონა

საფერავი - 130 ათასი ტონა

კახური მწვანე - 5,9 ათასი ტონა

ალექსადრეულ/მუჯურეთული, რაჭა - 1618 ტონა

ცოლიკაური, ცაგერი - 753 ტონა

დანარჩენი სხვა ჯიშების ყურძენია

ძირითადი ინდუსტრიული ჯიშების 1 კგ ყურძნის ფასები:

რქაწითელი - 1.00-დან 1.20 ლარის ფარგლებში

საფერავი - 1.50-1.60 ლარის ფარგლებში

ალექსანდრეულ/მუჯურეთული - 8.00 ლარი

ცოლიკაური (ტვიშის) – 8.00 ლარი, ცაგერის ცოლიკაური - 5.00 ლარი.

მევენახე ფერმერების მიერ მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის, ყურძნის ხარისხის შენარჩუნებისა და მეღვინეობის დარგის სტაბილური განვითარების მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს მთავრობამ რთველის სუბსიდირება განახორციელა:

• კახეთის რეგიონში სახელმწიფო სუბსიდია მიიღო ყველა იმ კომპანიამ, რომელმაც 1 კგ რქაწითელში მევენახეს არანაკლებ 1.00 ლარი გადაუხადა.

• ასევე, 13 სექტემბრიდან, შპს „მოსავლის მართვის კომპანია“ მევენახე ფერმერებისგან 1 კგ საფერავის ჯიშის ყურძენს 1.50 ლარად იბარებდა. ხოლო მევენახეებმა, რომლებსაც 13 სექტემბრამდე ლარნახევარზე ნაკლებ ფასად ჩააბარეს საფერავის ჯიშის ყურძენი, საქართველოს მთავრობამ დაუკომპენსირა სხვაობა ლარნახევარსა და მიღებულ საფასურს შორის.

• რაჭის რეგიონში, სუბსიდია მიიღო ყველა იმ კომპანიამ, რომელმაც ხვანჭკარას მიკროზონაში მოწეული 1 კგ ალექსანდროულისა და მუჯურეთულის ჯიშის ყურძენში მევენახეს გადაუხადა

არანაკლებ 8 ლარი. 1 კგ ალექსანდროულისა და 1 კგ მუჯურეთულის შესყიდვის სანაცვლოდ, კომპანიებზე 4 ლარის ოდენობის სახელმწიფო სუბსიდია გაიცა.

საკოორდინაციო შტაბის ორგანიზებით, 23-24 აგვისტოს კახეთის რეგიონში მოსული ძლიერი სეტყვისა და ქარისგან დაზიანებული ყურძნის ჩაბარება შპს „მოსავლის მართვის კომპანიამ" ოპერატიულად, სტიქიის მეორე დღიდანვე დაიწყო. ყვარლის, თელავის და ახმეტის მუნიციპალიტეტებში დასეტყვილ ყურძენს კომპანია თელავის და ყვარლის მუნიციპალიტეტებში იბარებდა. მევენახეებმა დაზიანებული, არაკონდიციური 1 კგ ყურძენი 1.00 ლარად ჩააბარეს. სულ გადამუშავდა 1800 ტონამდე დასეტყვილი ყურძენი. სეტყვისგან დაზიანებული ყურძენი სახელმწიფო საწარმომ შპს „მოსავლის მართვის კომპანია" სპირტის დასამზადებლად გადაამუშავა.

რთველის პერიოდში, ღვინის ეროვნულმა სააგენტომ 100-მდე ახალგაზრდა ღვინის საწარმოებში ოპერატორის პოზიციაზე დაასაქმა. რთველის აღრიცხვის პროგრამა ქვეყანაში 2013 წლიდან მუშაობს. პროგრამა უზრუნველყოფს ჩაბარებული ყურძნის შესახებ სრული და დაზუსტებული მონაცემების შეგროვებას, რაც მაღალი ხარისხის ღვინის წარმოების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ხარისხის კონტროლი

საქართველოში წარმოებული ალკოჰოლიანი სასმელების ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს

შესაბამისი სამსახურები ქართული ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხის კონტროლს რეგულარულად ახორციელებენ.

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხის კონტროლის მიზნით, 2024 წელს განახორციელდა 17 სახელმწიფო და 376 საინსპექციო კონტროლი. სახელმწიფო კოტროლის, ფარგლებში, შემოწმებული 28 კომპანიის 154 ნიმუშიდან, დარღვევა აღმოჩენდა 6 კომპანიის 34 ნიმუშში, ხოლო საინსპექციო კონტროლი ჩატარდა 83 კომპანიაში, და აღებული 1927 ნიმუშიდან, დარღვევა აღმოჩნდა 16 კომპანიის 37 ნიმუშში.

სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის შპს „Bureau Veritas“ და შპს „SGS“ მიერ შემოწმებულ 74 კომპანიაში, აღებული 459 ნიმუშიდან დარღვევა აღმოჩნდა 4 კომპანიის 11 ნიმუშში.

შიდა ბაზრის კონტროლი განხორციელდა 78 კომპანიის პროდუქციაზე, აღებული ნიმუშების რაოდენობა იყო 136, აქედან 73 ნიმუშში აღმოჩნდა დარღვევა.

სერტიფიცირების მიზნით ლოტთან შეუსაბამო ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმლის ნიმუშის წარდგენისთვის შედგა 23 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, დაჯარიმდა 15 კომპანია.

დეგუსტაციები

საექსპორტო ალკოჰოლური სასმელების ორგანოლეპტიკური ტესტირების მიზნით, ჩატარდა 284 დეგუსტაცია. შემოვიდა სულ 13006 ნიმუში. 12383 ნიმუში შეფასდა დადებითად და 623 ნიმუში შეფასდა უარყოფითად.

სერტიფიცირება

საანგარიშო პერიოდში, საექსპორტო დოკუმენტაციის მისაღებად სერტიფიცირებაზე შემოვიდა სულ 27 800 განაცხადი. შემოსული განაცხადების საფუძველზე გაიცა სხვადასხვა დანიშნულების დოკუმენტაცია:

VI-1 ფორმის სერტიფიკატი /ევროგაერთიანების ქვეყნებისათვის/ - 8 717 ცალი; შესაბამისობის სერტიფიკატი - 25 832 ცალი; სხვადასხვა ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელ კომპანიაზე, ღვინის ეროვნული სააგენტოს სერტიფიცირების სამმართველოს მიერ, გაცემულია სულ 34 549 სერტიფიკატი.

ვენახების კადასტრის პროგრამა

ვენახების კადასტრის სრულყოფის, სისტემის გამართული ფუნქციონირებისა და საკადასტრო ინფორმაციის განახლების მიზნით შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- მევენახეთა ინტერვიუს ორგანიზებისა და საკადასტრო ინფორმაციის შეკრების მიზნით დასავლეთ საქართველოს მევენახეობის ზონებისათვის (გურია, სამეგრელო, აჭარა, იმერეთი) შეირჩა 6 ოპერატორი, რომლებიც განთავსდნენ შესაბამის ლოკაციებზე.
- ღვინის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები ვენახების შესახებ მონაცემების განახლებას, კადასტრის ფუნქციონირების დაწესებული ნორმების შესაბამისად (მევენახის ცვლილება, ვენახის გაშენება ან ამოძირკვა და სხვა), უწყვეტ რეჟიმში ახორციელებდნენ. სულ გაცემულია 4020 ვენახის ამონაწერი.
- განხორციელდა საველე შემოწმებები საქართველოს მასშტაბით. სულ გადამოწმდა 190 მევენახის 300 ნაკვეთი.
- მიმდინარეობდა კადასტრისათვის გამოყენებული აბაკოს მონაცემთა ბაზის განახლების სამუშაოები და მისი სრულყოფა აბაკოს ექსპერტებთან განხილვის ფორმატში.

- გადამოწმდა 2021 წლის ჩათვლით გაცემული ვენახის ამონაწერები - დასკანერდა დოკუმენტაცია და შევსებული იქნა აბაკოს მონაცემთა ბაზა. ამასთან, შეიქმნა ვენახების ამონაწერების საარქივო რეესტრი.
- მომზადდა სატენდერო წინადადება, სადაც კონკურენციის პირობებში გამოვლენილი იქნა გამარჯვებული კომპანია შპს „რუკა მაპინგ“, რომელმაც შეასრულა მესხეთისა (ასპინძა, აბასთუმანი) და აჭარის (ქედა) მევენახეობის ზონების აეროფოტოგადაღება და ორთოფოტოების დამზადება. ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნული მასალის დამუშავება სერვერზე ატვირთვის მიზნით.
- შეჯამდა გასული წლის მონაცემები, რომლის საფუძველზე მომზადდა და გამოცემული იყო 2023 წლის ვენახების კადასტრის ანგარიში (61 გვერდი) ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევისა და პოპულარიზაციის სამეცნიერო პროგრამა

პროგრამის ფარგლებში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

სააგენტოს მიერ დაარსებული სერიის „ქართული ვაზი და ღვინო: ლიტერატურული მემკვიდრეობა“ ფარგლებში დაიბეჭდა ორი წიგნი:

1. „რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობის რეგიონები“. ავტორი ლუკა გვენცაძე, დაწერილი 1940 წელს, რომელიც აქამდე არ გამოქვეყნებულა.
2. „საქართველოს მევენახეობა და მისი განვითარების პერსპექტივები“. ავტორები სოლომონ ჩოლოყაშვილი და ირაკლი რცხილაძე, გამოქვეყნებული პირველად 1939 წელს.

- დაიბეჭდა წიგნი „კახეთის მევენახეობა-მეღვინეობა“. ავტორები: თამაზ კობაიძე და ოთარ ქურთიაშვილი.

- დაიგეგმა და განხორციელდა არქეოლოგიურ კვლევები საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ტორონტოს უნივერსიტეტის (ხელმძღვანელი სტეფან ბატიუკი) არქეოლოგების მონაწილეობით მარნეულის ველზე არსებულ სამ არქეოლოგიურ ძეგლზე გადაჭრილი გორა და იმირის გორა (ნეოლითური პერიოდი) და აზიზქენდი (ქალკოლიკური პერიოდი). აღებული იქნა ნიმუშები ლაბორატორიული და ინტერდისციპლინალური კვლევებისათვის.

- დასრულდა 19 ველური ფორმისა და ვაზის ჯიშების ყურძნის ნიმუშების შეგროვება და ექსპერიმენტული ღვინოების დამზადება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მკვლევარების მონაწილეობით პროფ. პატრიკ მაკგოვერნის (აშშ) მიერ შემუშავებული ბიო-მოლეკულური ანალიზის თეორიული საფუძვლების დამუშავების მიზნით. შეგროვილი მასალა 318 სინჯარის ოდენობით გადაეცა პ. მაკგოვერნს ქიმიური ანალიზის განხორციელებისათვის აშშ-ს ლაბორატორიაში.

- საქართველოს ეროვნული მუზეუმის მკვლევარების მიერ განხორციელდა არქეობოტანიკური და პალეობოტანიკური მასალის ლაბორატორიული შესწავლა საქართველოში წარმოებული გათხრებიდან მოპოვებულ მასალაზე: 1) შულავერის კულტურის (ძვ. წ. მე-6 ათასწლეული) არქეოლოგიურ ძეგლებზე სახელწოდებით „გადაჭრილი გორა“; 2) ხალკოლითის დროის (ძვ.წ. მე-6 ათასწლეულის) ძეგლ „აზიზქენდზე“ (ეს ნიმუშები მომდინარებდა 2024 წლის ივნისის თვეში საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და კანადის ტორონტოს უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ერთობლივი არქეოლოგიური გათხრებიდან); 3) ილმაზლოს შუასაუკუნეების პერიოდის ძეგლზე. შედეგად, შესრულდა ნამოსახლარებზე მევენახეობა - მეღვინეობის და მიწათმოქმედების დარგების განვითარების მაშინდელი დონის შეფასება.

- ვეისმანის უნივერსიტეტის (ისრაელი) რადიოკარბონული კვლევის ლაბორატორიაში ელიზაბეტ ბოარეტოს მიერ C14 მეთოდით დათარიღებული იქნა ვაზის წიპწების 3 ნიმუში, აღმოჩენილია ძალისის ანტიკური პერიოდის არქეოლოგიური გათხრების დროს. დათარიღებამ აჩვენა წიპწების კუთვნილება ახ. წ. მე-4-5 საუკუნეებისადმი.

- მონპელიეს უნივერსიტეტის (საფრანგეთი) მკვლევარს ლორან ბუბის გადაეცა შესასწავლად ძალისის გათხრების დროს მოპოვებული დათარიღებული წიპწები მორფომეტრიული ანალიზის მეთოდების შესწავლისათვის, რომელიც შემდეგ დაემატება ქართული არქეოლოგიური წიპწების მონაცემთა ბაზას და გამოყენებული იქნება ვაზის კულტივირების ისტორიის ახსნისათვის საქართველოში.

- მილანის უნივერსიტეტის (იტალია) მკვლევარმა გაბრიელე კოლამ ქართველ მკვლევარებთან თანამშრომლობის ფარგლებში შეასრულა საქართველოს ველური ვაზის აგროკლიმატური მახასიათებლებისა და ქვეყანაში გავრცელების ფიზიკო-გეოგრაფიული არეალის შესწავლა. სამეცნიერო სტატიის ფორმატში თავმოყრილი შედეგები სათაურით The status of wild grapevines (Vitis vinifera L. subsp. sylvestris (C.C. Gmel.) Hegi) populations in Georgia (Southern Caucasus) გადაეცა გამოსაქვეყნებლად რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალს Plants.

- მილანის უნივერსიტეტის (იტალია) მკვლევარმა გაბრიელა დე ლორენცისმა შეასრულა პროექტის მიერ შეკრებილი და მინდვრის კოლექციაში დაცული ველური ვაზის 38 ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა მოლეკულური მარკერების (10k SNPs) საშულებით. კვლევების შემდეგ საფეხურზე იგეგმება ველური ვაზის ფორმების შედარება ვაზის ჯიშებთან და მიღებულ შედეგებზე სამეცნიერო სტატიის მომზადება.

- დავით მაღრაძემ მონაწილეობდა იტალიის ქალაქ ვერონაში გამართულ ფორუმში Amphora Evolution 7-8 ივნისს, სადაც წარდგენილი იქნა მოხსენებები ქართულ ვაზსა და ღვინოზე.

- პროექტის მონაწილეებმა მილანის უნივერსიტეტიდან ოსვალდო ფაილამ და გაბრიელე კოლამ, პროექტი კოორდინატორმა დავით მაღრაძემ, მონაწილეობა მიიღეს წინანდალში განხორციელებულ „ქვევრის ღვინის საერთაშორისო სიმპოზიუმში“. ღონისძიება მონაწილეების მიერ გამოყენებული იქნა პროექტის შედეგების წარდგენისა და პოპულარიზაციისათვის.

- მომზადდა დოკუმენტური სიუჟეტი „ხეზე ვაზის გაშენების ძველი მეთოდი“, რომელიც გადაღებული იქნა ჩოხატაურის რაიონის სოფ. ერკეთში მევენახე და მეღვინე დავით კობიძესათან.

- გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაზეთში „ჩვენი სოფელი“ დაიბეჭდა სტატიები:
    1. საქართველოს ველურ ვაზი. №2 (96)
    2. რას წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოში ალადასტურის სახელით გავრცელებული ვაზის ჯიში. №6 (99)

WWTG

15-16 აპრილს, ბელგიის სამეფოს დედაქალაქ ბრუსელში გამართულ ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) შეხვედრაზე, საქართველოს თავმჯდომარეობის ერთწლიანი პერიოდი და მიღწეული შედეგები, ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მხრიდან დადებითად შეფასდა.

2023 წლის 1 მაისიდან, აღნიშნული ორგანიზაციის თავმჯდომარეობა საქართველოს, ერთი წლის ვადით, ამერიკის შეერთებული შტატებიდან როტაციის პრინციპით გადმოეცა. თავმჯდომარეობის პერიოდში ორგანიზაციის საქმიანობის მთავარი კოორდინატორი ღვინის ეროვნული სააგენტო იყო. ორგანიზაციის ძირითადი მიზანია ღვინით ვაჭრობის გამარტივება, ღვინით საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა და სავაჭრო ბარიერების მოხსნისათვის ერთობლივი ქმედებების განხორციელებაა.

ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) წევრ ქვეყნებთან ერთად (საქართველო, აშშ, არგენტინა, ავსტრალია, კანადა, ჩილე, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, ურუგვაი) შეხვედრას დამკვირვებელი ქვეყნის სტატუსით, დიდი ბრიტანეთის დელეგაციაც დაესწრო.

ჯგუფის ორდღიანი მუშაობის ფარგლებში, გაიმართა მსჯელობა სავაჭრო ბარიერებზე, საერთაშორისო ვაჭრობის გამარტივების და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის საკითხებზე, შეფუთვისა და მარკირების სტანდარტებზე, ასევე განხილული იყო ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) რეზოლუციები, ევროკავშირის რეგულაციები ღვინის ინგრედიენტების ეტიკეტირებასთან დაკავშირებით.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

საქართველოში რეგისტრირებულ დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებს „ობჩა“ დაემატა

ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების რაოდენობა 30-მდე გაიზარდა, რაც ქართული ღვინის მრავალფეროვნებაზე მიუთითებს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პოპულარიზაციისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდისთვის.

გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის მოთხოვნით, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტი“ შპს იმერული ღვინის ასოციაციამ“ მიმართა. ღვინოების წარმოების სპეციფიკაციის მომზადებასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებულ სხვა ტექნიკურ საკითხებში ღვინის ეროვნული სააგენტო „ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების სისტემის განვითარებისა და ქართული ღვინის აღნიშვნების დაცვის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში მონაწილეობდა.

ობჩა მშრალი ღვინოა, რომელიც შეიძლება იყოს ქარვისფერი ან წითელი. მიკროზონა მდებარეობს ბაღდათის მუნიციპალიტეტში და მოიცავს ქალაქ ბაღდათსა და სოფლებს: პირველი ობჩა, მეორე ობჩა, დიმი, როკითი, ფერსათს, რომელთა სიმაღლე ზღვის დონიდან 120-420 მეტრის ფარგლებშია. ღვინო ქარვისფერი ობჩა შეიძლება დამზადდეს მხოლოდ ობჩის მიკროზონაში მოწეული ცოლიკოურის ჯიშის ყურძნიდან. დასაშვებია ციცქას და/ან კრახუნას ჯიშის ყურძნის გამოყენებაც 15 %-ის ფარგლებში. ღვინო წითელი ობჩა შეიძლება დამზადდეს მხოლოდ ობჩის მიკროზონაში მოწეული ოცხანური საფერეს ჯიშის ყურძნიდან და დაუშვებელია სხვა ჯიშების გამოყენება.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

ობჩის ნიადაგის მორფოლოგია და მიკროზონის კლიმატი, აისახება ღვინო ობჩას მაღალ ხარისხისზე.

ამ ეტაპზე, საქართველოში დარეგისტრირებულია დაცული ადგილწარმოშობის დასახელების შემდეგი ღვინოები: ქინძმარაული, მანავი, კახეთი, ნაფარეული, თელიანი, მუკუზანი, წინანდალი, ახაშენი, გურჯაანი, ხვანჭკარა, ატენი, სვირი, ვაზისუბანი, კარდენახი, ტიბაანი, ტვიში, ყვარელი, კოტეხი, ხაშმის საფერავი, ბოლნისი, სალხინოს ოჯალეში, ახმეტა, წარაფი, ახოები, მაღრაანის ქისი, ოყურეშის უსახელოური, ზეგაანი, ასურეთული შალა, ოკამი და ობჩა.

ღვინის ეროვნულ სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობა აქტიურად შუქდება ბეჭდურ, ელექტრონულ, სოციალურ და სატელევიზიო მედიაში: (http://wine.gov.ge/,

https://www.facebook.com/nationalwineagency/, , https://www.youtube.com/channel/UC0CPwXo8f7-QA329kmicFwQ)

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge